

ეროვნული ბანკის გამოწვევები საფინანსო სექტორის ზედამხადველობის
განხორციელებისას

ქრისტინე წივილაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი კალანდაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ქრისტინე წივილაშვილი

21.02.2018

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში საფინანსო სექტორის მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება, რადგან მისი განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს ეკონომიკის სტაბილურობასა და სიძლიერეს. ისეთი განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში, როგორც საქართველოა, საფინანსო სექტორი განსაკუთრებულ ხელშეწყობას საჭიროებს. ამის მიღწევა კი სწორი სამართლებრივი რეგულირების გარეშე შეუძლებელია.

ჩემს სამაგისტრო ნაშრომში ვიმსჯელებ იმ ძირითად გამოწვევებზე, რომლის წინაშეც საქართველოს ეროვნული ბანკი დგას საფინანსო სექტორის ზედამხედველობის გახორციელებისას. ნაშრომში განხილულია, თუ რამდენად მზად არის ეროვნული ბანკი სწორი სამართლებრივი რეგულირებით უპასუხოს სწრაფი ტემპებით განვითარებად საფინანსო სექტორს. მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენად იცავს ეროვნული ბანკი ბალანსს, ერთის მხრივ საფინანსო სექტორის საქმიანობის დარეგულირებასა და, მეორეს მხრივ, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას შორის. საინტერესოა ასევე, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებს ეროვნული ბანკი თავისი რეგულაციებით საფინანსო სექტორის სხვადასხვა წარმომადგენლებს.

ჩემი მიზანია ეროვნული ბანკის წინაშე არსებული გამოწვევების გაანალიზება და იმ რეგულაციებზე მსჯელობა, რაც ქართულ კანონმდებლობაში არსებობს. ამ მსჯელობისას არაერთი საკანონმდებლო ხარვეზი იკვეთება, რაც ხელს უშლის საფინანსო სექტორს განვითარებაში.

საქართველოში, სწრაფად განვითარებადი საფინანსო სექტორისთვის აუცილებელია არსებობდეს ჰარმონიზებული საკანონმდებლო სისტემა. მნიშვნელოვანია, რომ არსებულმა რეგულაციებმა, ერთის მხრივ, მოაწესრიგოს საფინანსო სექტორის სამართლებრივი მდგომარეობა, ხოლო მეორეს მხრივ, არ შეზღუდოს ბიზნესის განვითარება, შესაბამისად, აუცილებელია დროულად აღმოიფხვრას კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებები. ნაშრომში განვიხილავთ ეროვნული ბანკის ძირითად გამოწვევებს და იმ მოსაზრებებს, რაც ამ გამოწვევების საპასუხოდ უნდა გაითვალისწინოს ეროვნულმა ბანკმა.

Abstract

Importance of developed financial sector increases on daily basis as it largely determines strength and stability of country's economy. In developing economy countries like Georgia, financial sector especially needs assistance and it's unachievable unless having proper legal regulations.

My Master's work will cover main challenges faced by National Bank of Georgia in supervising financial sector. In my work I'll analyze readiness of National Bank of Georgia to react to growing financial sector challenges with appropriate and efficient regulations. I'll also discuss the importance of balance between regulating financial sector and supporting its growth as well as the balance between supervising different players of financial sector.

My aim is to analyze regulations in Georgian legislation related with financial sector and identify different shortcomings that hinder development of financial sector in Georgia.

It's crucial for Georgian fast growing financial sector to have harmonized legislative system. It's very important that existing regulations on the one hand organize the legal state and on the other hand don't limit the growth of financial sector. Accordingly, it's necessary to eliminate all the existing defects in legislation. In my Master's work I'll analyze main challenges faced by National Bank of Georgia and provide suggestions on how to deal with them.